საქართველო
GEORGIA
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
LEPL - AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

59 თამარ მეფის ქ., ქუთაისი, 4600, საქართველო
ტელ.: (+995 431) 245 784; (+995 431) 243 833
ელ. ფოსტა: atsu@atsu.edu.ge

59, Tamar Mefe st., Kutaisi, 4600, Georgia
Tel.: (+995 431) 245 784; (+995 431) 243 833
E-mail: atsu@atsu.edu.ge

№ 01-04/9 ბრძანება 9.03. 2018 წელი

2017-2018 სასწავლო წელს უნივესიტეტში საგაზაფხულო სემესტრში მობილობით და აღდგენის წესით ჩარიცხულ სტუდენტთათვის დამატებით (minor) პროგრამებზე სტუდენტთა განაწილების, მოდულის და არჩევითი საგნის არჩევის ვადების განსაზღვრის შესახებ

დამტკიცდეს 2017-2018 სასწავლო წელს უნივესიტეტში საგაზაფხულო სემესტრში მობილობით და აღდგენის წესით ჩარიცხულ სტუდენტთათვის დამატებით (minor) პროგრამებზე სტუდენტთა განაწილების, მოდულის და არჩევითი საგნის არჩევის ვადები შემდეგი რედაქციით:

1. 2017-2018 სასწავლო წელს უნივესიტეტში საგაზაფხულო სემესტრში მობილობით და აღდგენის წესით ჩარიცხულ სტუდენტთათვის დამატებით (minor) პროგრამებზე, მოდულებზე და არჩევით საგნებზე სტუდენტთა რეგისტრაცია წარიმართოს 2018 წლის 12 მარტიდან 2018 წლის 17 მარტამდე.
2. მობილობით და აღდგენის წესით ჩარიცხულ სტუდენტთა განცხადებების მიღება განხორციელდეს სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვის ცენტრში.
3. მობილობით ჩარიცხულ სტუდენტთა მიერ დამატებით (minor) პროგრამის, მოდულის და არჩევით საგნის არჩევა მოხდეს საკუთარი სურვილის გამოხატვის, თავისუფლების, გამჭირვალობისა და კონკურენციის პრიციპის დაცვით რექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი ვაკანტური ადგილების მიხედვით.
4. მობილობით და აღდგენის წესით ჩარიცხულ სტუდენტთა დამატებით (minor) პროგრამებზე, მოდულებზე და არჩევით საგნებზე ჩარიცხვა განხორციელდეს შესაბამის ფაკულტეტის დეკანების მიერ.
5. ფაკულტეტის დეკანებმა დამატებით (minor) პროგრამის, მოდულის და არჩევითი საგნები(შესაბამისი კრედიტების) განაწილება სემესტრების მიხედვით მოახდინონ მხოლოდ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული აკადემიური პროგრამების სასწავლო გეგმების მიხედვით.
6. განსაკუთრებულ შემთხვევაში სტუდენტის რეგისტრაციის და ჩარიცხვის საკითხი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით განხილული იქნას უნივერსიტეტის რექტორთან.

7. ელექტრონული დეკანატის კოორდინატორს დაევალოს დამატებით (minor) პროგრამებზე, მოდულებზე და არჩევით საგნებზე ჩარიცხულ სტუდენტთა ელექტრონულ დეკანატში ასახვა.
8. კანცელარიის უფროსმა(ე. ცირეკიძემ) ბრძანება ვებ-გვერდზე განსათავსებლად გადასცეს მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურს(ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი).
9. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს ასოც. პროფ. შალვა კირთაძეს.

საფუძველი: უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „კ"ქვეპუნქტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტი დამატებითი (minor) პროგრამის, მოდულისა და არჩევითი საგნის არჩევის უფლების შესახებ და აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის დადგენილება № 8(17/18 აკაკი წრეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტთათვის დამატებითი (minor) პროგრამებზე სტუდენტთა განაწილების, მოდულის და არჩევითი საგნის არჩევის წესის დამტკიცების შესახებ

რექტორი: პროფ. გ. ღავთაძე

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი: პროფ.ი. ბასილაძე